

## თანამშრომლობის მემორანდუმი

იმის შეგნებით, რომ სამოქალაქო საზოგადოების აშენება, დასავლურ სამყაროსთან და ევროკავშირთან ინტეგრირება, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისა და ხელისუფლების სტრატეგიულ პრიორიტეტს, რაც გულისხმობს დემოკრატიული ფასეულობების საზოგადოებაში დანერგვას, ეს კი ვერ მიიღწევა თავისუფალი მედიის შემდგომი განვითარების, მისი დასავლურ სტანდარტებთან დაახლოებისა და, შესაბამისად, თანამედროვე პროფესიული მომზადებისა და ცოდნისა მქონე სპეციალისტების აღზრდის გარეშე;

დარწმუნებულნი, რომ ასეთი სპეციალისტების აღზრდა შეუძლებელია თანამედროვე ღირებულებებზე აღმოცენებული უმაღლესი სასწავლებლების დაფუძნებისა და მათი პროგრამული მატერიალური, თუ მორალური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის გარეშე;

იმის აღიარებით, რომ თანამშრომლობა ერთის მხრივ, საქართველოს უნივერსიტეტსა და მეორეს მხრივ, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის იქნება ურთიერთსასარგებლო;

გაერთიანებულნი იდებით, რომ ყოველგვარი ინიციატივა ნაყოფიერია, თუ იგი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება;

მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ მემორანდუმი ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებებისა და მედიის განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოების აშენებას და, შესაბამისად, დასავლურ სამყაროსთან და ევროკავშირთან ინტეგრირებას;

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (შემდგომში – „მაუწყებელი“), მისი გენერალური დირექტორის თამარ კინწურაშვილის სახით

და

მეორეს მხრივ „საქართველოს უნივერსიტეტი“ (შემდგომში – „უნივერსიტეტი“), მისი რექტორის, პროფესორ მანანა სანაძის სახით


ურთიერთთანამშრომლობის სურვილით  
მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე მემორანდუმზე:

### 1. მხარეები ითანამშრომლებენ:

- 1.1. უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლებისა და სამეცნიერო ცენტრების მიერ ტელევიზიის მიერ მომზადებული პროგრამების დახვეწისა და კონსულტირების მიმართულებით;
- 1.2. მაუწყებლის თანამშრომლების გადამზადება-სტაჟირების, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტთა, სტაჟირებისა და მათი შემდგომი დასაქმების მიმართულებით;
- 1.3. მაუწყებლის მიერ მომზადებულ შემეცნებითი, გასართობი თუ პოლიტიკურ გადაცემებში უნივერსიტეტში დასაქმებული პროფესორ-მასწავლებლების ექსპერტული მონაწილეობის მიმართულებით;


- 1.4. ერთობლივი სამეცნიერო-პოპულარული ფილმებისა და შემეცნებითი პროგრამების შექმნის, მათი, ისევე როგორც, მაუწყებლის სხვა პროდუქციის რედაქტირების პროცესში უნივერსიტეტის პროფესორების, სათანადო ცენტრებისა და მოწინავე სტუდენტების ჩართვის მიმართულებით;
- 1.5. მაუწყებლის, ისევე როგორც უნივერსიტეტის, მხრივ დაგეგმილ ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობისა და ამ ღონისძიებების სათანადოდ გაშუქების მიმართულებით.
2. ზემოაღნიშნული მიზნის განსახორციელებლად მხარეები შეიმუშავენ ერთობლივ პროექტებს საგრანტო კონკურსებში წარსადგენად;
3. საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელებენ სამუშაო შეხვედრების, საერთაშორისო სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზებას.
4. მხარეთა თანამშრომლობა განხორციელდება 5 წლიანი სამუშაო პროგრამის საფუძველზე, რომელიც დაყოფილი იქნება 1 წლიან მცირე პროგრამებად. პროგრამას ამტკიცებს ორივე მხარე.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებლის,  
გენერალური დირექტორი

ა. 

თამარ კინკურაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის,  
რექტორი

მ. 

მანანა სანაძე